კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება "ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო შედეგები

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

გიორგი რობაქიძე

თბილისი - 2022

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ხელმძღვანელი: გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი **რევაზ გაჩეჩილაძე**

ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, **თამარ კიკნაძე**

დისერტაციის დაცვა შედგება 2022 წლის 26 ივლისს 15:00 საათზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: **პეტრე მამრაძე**

<u>ნაშრომის ზოგადი დახასიათება</u>

შესავალი

თემის აქტულურობა

„ვიშეგრადის ოთხეული" (V4), ცენტრალური ევროპის ქვეყნების - პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის რეგიონულ გაერთიანებას წარმოადგენს, რომლის ისტორიაც თითქმის სამ ათეულ წელს ითვლის. ის ეფუძნება მასში შემავალი ქვეყნების საერთო ფასეულობებს, მსგავს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და ერთობლივ პოლიტიკურ ინტერესებს. ამასთან, „V4"-ში შემავალი ცენტრალური ევროპის ზემოხსენებული ქვეყნები ყოფილი „კომუნისტური ბლოკის" თანამედროვე ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოებად გარდაქმნის წარმატებულ მაგალითს იძლევიან.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ინტეგრაციული ამოცანის შესრულების შემდეგ „ვიშეგრადის ოთხეულის" რეგიონული გაერთიანება შეწყვეტდა ფუნქციონირებას[1]. თუმცა, თავდაპირველი მიზნების მიღწევის შემდეგ, ორგანიზაციამ ტრანსფორმაცია განიცადა და დღეისათვის „V4" ევროკავშირის პოლიტიკურ ასპარეზზე კარგად დამკვიდრებული რეგიონული დაჯგუფებაა, რომელიც წარმატებით ახორციელებს მისი წევრი ქვეყნების ინტერესების ლობირებას.

ვიშეგრადის რეგიონული გაერთიანების შექმნის უმთავრესი ამოცანა და მიზანი იყო მისი წევრი ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებამ ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა სწრაფად განევითარებინათ საკუთარი ეკონომიკა უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში. ეს ქვეყნები საკუთარი არსებობის მანძილზე, არასოდეს ყოფილან ეკონომიკურად ისეთი წარმატებული,

[1] DANGERFIELD, MARTIN. *V4: A new brand for Europe? Ten years of post-accession regional cooperation in Central Europe*. In: Poznan University of Economics Review, Volume 14, Number 4, 2014, გვ. 72;

როგორიც 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულების განმავლობაში, რაც უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში წარმატებული ინტეგრაციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში ამ ქვეყნებში მაინც შეინიშნება ანტიევროპული (ევროპული კავშირის მიმართ ნეგატიური) და ზოგადად ანტიდასავლური განწყობების მატება. ამასთან, „V4"-ის ქვეყნებში თვალშისაცემი ხდება არა მარტო პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების ტენდენცია, არამედ ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების ზრდა ძირითად პარტიებშიც (Mainstream Parties), მათ შორის სახელისუფლებო პარტიებშიც კი.[2]

მართალია, ამ ეტაპისთვის, ავტორიტარული განვითარების ტენდენცია ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ნაკლებად არის გამოხატული, მაგრამ ანტიევროპული და ზოგადად, ანტი-ლიბერალური განწყობების მატება სულ უფრო შესამჩნევი ხდება, რის დასტურსაც წარმოადგენს ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში ეროვნულ და მუნიციპალურ არჩევნებზე ისეთი პოპულისტური და რადიკალური პარტიების წარმატება, რომელთაც „ანტი-ისტებლიშმენტ-ურ" (anti-establishment - ანუ დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი) პარტიებად მოიხსენიებენ. ამ ტენდენციას თან ერთვის ზოგიერთი ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტის მცდელობა, რათა საკუთარი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, შეასუსტოს მათ ქვეყანაში არსებული ჯერ კიდევ მყიფე, არასაკმარისად განვითარებული, დემოკრატიული ინსტიტუტები.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ცენტრალური ევ-

[2] რობაქიძე გიორგი, პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო შედეგები. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019;

როპის ქვეყნების მსგავასად, საქართველოც მიისწრაფის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ, შესაბამისად, ამ კუთხით, მნიშვნელოვანი და საყურადღებო იქნება „V4“ ქვეყნების გამოცდილების ანალიზი, რათა ერთი მხრივ თავიდან იქნას აცილებული მათ მიერ დაშვებული შეცდომები და მეორე მხრივ მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის (best practices) გაზიარება. ამასთან, ცენტრალური ევროპის ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც შეინიშნება პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების ნიშნები, შესაბამისად „V4“ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკუ-რი პროცესების ანალიზი, საშუალებას მოგვცემს უკეთესად მოვახდინოთ საქართველოში პოლიტიკური პორცესების პროგნოზირება და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

თემის დამუშავების მდგომარეობა

ცენტრალური ევროპის პოპულისტური და რადიკალური პარტიების კვლევის თემატიკა ჯერ არ გამხდარა მონოგრაფიული შესწავლის საგანი საქართველოში. საკვლევი თემა მოწოდებულია გარკვეულწილად აღმოფხვრას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის დეფიციტი ევროკავშირისა და ნატოს შედარებით ახალი წევრი ქვეყნების ისეთი პრობლემების შესახებ, რომელთა კვლევაც ხელს შეგვიწყობს გავიაზროთ, თუ რა შესაძლო პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ევროკავშირისა და ნატოს პოტენციური წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

ამასთან, ცენტრალურ ევროპაში პოპულისტური, ევროსკეპტიკური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების კვლევისას, მნიშვნელოვანია დასახული ამოცანის გადაჭრა მოხდეს კომპლექსური დისციპლინათაშო-რისი კვლევის ბაზაზე. წინამდებარე კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა პირობითად შესაძლებელია დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად:

წყაროთა **პირველ ჯგუფს** მიეკუთვნება სამეცნიერო ნაშრომები პოლი-ტიკის და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით. განსაკუთრებული

ყურადღება ეთმობა პოპულიზმის, რადიკალიზმის, გლობალიზაციის, რეგიონალიზმის და ინტეგრაციის სამეცნიერო თეორიების ანალიზს. დისერტაციაში გამოყენებულია ზემოთჩამოთვლილი მიმართულებით ევროპულ და ამერიკულ სამეცნიერო წრეებში ცნობილი ისეთი ავტორების კვლევები, როგორიცაა ლ. მარჩი, კ. ფონ ბეიმე, კ. არცჰაიმერი, რ. მაკრიდისი, კ. მუდე, ე. ჰეივუდი, ჯ. ნაი, ე. ბალმერი, ე. ჰაასი, ლ. ლინდბერგი, ს. ჰოფმანი, ე. მორავჩიკი, ს. ჰიქსი და სხვები.

წყაროთა **მეორე ჯგუფს** მიეკუთვნება ცენტრალური ევროპის ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოების, პერიოდული გამომცემლობების, ასევე წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და ანალიტიკური პორტალების მასალები. სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური ინტერნეტ რესურსები და საარქივო მასალები;

წყაროთა **მესამე ჯგუფს** მიეკუთვნება იმ ქართველ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც იკვლევენ ევროპული ინტეგრაციის თემატიკას და ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. დისერტაციაში გამოყენებულია რ. გაჩეჩილაძის, კ. გოგოლაშვილის, ს. კაპანაძის, ვ. ჭყოიძის, თ. კიკნაძის, ვ. შუბითიძის, ლ. კაპანაძის და სხვათა ნაშრომები.

გამოყენებულ წყაროთა ბაზას ასევე მიეკუთვნება „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებისა და ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ მომზადებული დოკუმენტები, მათ შორის სახელმწიფოთა მეთაურების გამოსვლების და პრეს-კონფერენციების ტექსტები.

კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს „ვიშეგრადის ოთხეულის“ მაგალითზე:

- შეისწავლოს ცენტრალური ევროპის „პოსტ-კომუნისტური“ ქვეყნების მოსახლეობაში პოპულისტური და რადიკალური განწყობების საერთო ტენდენციები;
- გამოავლინოს ასეთი ტენდენციების მატების ფაქტები და სავარაუდო

მიზეზები;

- განსაზღვროს მათი შესაძლო ნეგატიური შედეგები;
- დასახოს მათთან ბრძოლის სავარაუდო გზები, რაც, ყურადსაღები უნდა იყოს ისეთ „პოსტ-საბჭოთა“ ქვეყანაშიც, როგორიც საქართველოა.

კვლევის საგანს წარმოადგენს ცენტრალური ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურები, მათი შექმნის თავისებურებები და განვითარების ტენდენციები.

კვლევის ობიექტია ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნებში პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების ტენდენცია, მისი გამომწვევი მიზეზები და შესაძლო ნეგატიური შედეგები;

საკვლევი კითხვები:

- რა შიდა და გარე ფაქტორები განაპირობებენ დემოკრატიულ ქვეყნებში პოპულისტური იდეოლოგიების აღზევებას და რამდენად უნივერსალურია ეს პროცესი?
- რამდენად შესაძლებელია, რომ ანალოგიურმა ფაქტორებმა შეცვალონ საზოგადოებრივი განწყობა იმ ქვეყნებშიც, რომლებიც გეგმავენ ევროპულ კავშირში გაწევრიანებას, მათ შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში, უფრო კონკრეტულად კი, საქართველოში?

ზემოჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, კვლევაში გაანალიზებულია ცენტრალური ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების დამყარებისა და მათი ჩამოშლის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები, სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ „V4“-ის ქვეყნებში შექმნილი ვითარება და მათი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი. ასევე, შესწავლილია „V4“-ის ქვეყნების პოლიტიკური ელიტებისა და მოსახლეობის განწყობები, როგორც ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებამდე, ისე მის შემდეგ.

ბოლოს, ნაშრომში განხილულია „V4“-ის ქვეყნებში დღეისათვის არსებუ-

ლი პოლიტიკური ვითარება და იქ მოქმედი პარტიები. ამასთან, ამ პარტიების იდეოლოგიების ანალიზის გზით, ნაშრომი შეეცდება პოპულისტური და რადიკალური განწყობების გაძლიერების ხელშემწყობი ძირითადი საშინაო და საგარეო ფაქტორების მიზეზების დადგენას.

კვლევის პრაქტიკაში გამოყენების ასამაღლებლად, წინამდებარე ნაშრომი ყურადღებას უთმობს ისეთი რეკომენდაციების შემუშავებას, რომელთა დანერგვაც ეფექტიანი იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში პოპულისტური და რადიკალური განწყობების შესაძლო გაძლიერების შესაჩერებლად.

ჰიპოთეზა

ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნებში (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი), რომლებიც წარმოადგენენ ყოფილი „კომუნისტური ბლოკის“ ქვეყნების თანამედროვე ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოებად გარდაქმნის წარმატებულ მაგალითს, უკანასკნელ პერიოდში, სულ უფრო თვალშისაცემი ხდება პოპულისტური, რადიკალიზებული და ანტი-ევროპული პარტიების გაძლიერება. ამას თან ერთვის, ზოგიერთ ამ ქვეყანაში, მმართველი პოლიტიკური ძალის მცდელობა, კერძო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ძალაუფლების შენარჩუნების განმტკიცებას ისახავს მიზნად, შეასუსტოს არსებული სახელმწიფო ინსტიტუტები, რაც თავის მხრივ იწვევს ამ ქვეყნებში დემოკრატიის დონის ერთგვარ გაუარესებას (დემოკრატიის უკუსვლას - Democratic Backslide).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომი შესრულებულია ინტერდისციპლინარული კვლევების ფორმატში, სადაც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ისტორიის სამეცნიერო ასპექტების გამოყენებით მიიღწევა კომპლექსური შედეგი.

თემის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს, ცენტრალური ევროპის ყოფილი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ქართულ სამეცნიერო წრეებში არსებული ნაშრომებისა და კვლევების

სიმწირის გარკვეულწილად აღმოფხვრა.

ამასთან, თემის სიახლეს წარმოადგენს ისეთი მიდგომის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შედარდეს ცენტრალური ევროპისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების პრობლემატიკა და მოხდეს ცენტრალური ევროპის ვითარების ვირტუალური ექსტრაპოლირება პოტენციური ახალი წევრების თეორიულად დასაშვებ პრობლემატიკაზე.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი გამოადგება როგორც პოპულისტური პარტიების გაძლიერების პრობლემატიკაზე, ისე ზოგადად ცენტრალური ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ისტორიულ თემატიკაზე მომუშავე მეცნიერებს, მკვლევარებსა და ანალიტიკოსებს. ნაშრომის გამოყენება ასევე შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშიც.

ამასთან ერთად, ნაშრომი იქნება ერთგვარი გზამკვლევი ქართველი ჟურნალისტებისა და ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებიც აშუქებენ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს.

კვლევის თეორიული ჩარჩო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელი წლების განმავლობაში, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში შეინიშნება პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების ტენდენცია. ამ ტენდენციის მიზეზების დადგენა რთული და კომლექსური კვლევის საკითხია, რომელიც მოიცავს, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული სხვადასხვა თეორიული მიმართულების ანალიზზე აგებულ მიდგომებს, ისე ამ ქვეყნების განვითარების ისტორიულ და სოციო-კულტურულ ასპექტებს.

იმისათვის, რომ კარგად ჩავწვდეთ პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების მიზეზებს, ნაშრომში, უპირველეს ყოვლისა,

შესწავლილია თავად **პოპულიზმისა** და **რადიკალიზმის** არსი, მისი მეცნიერულ-თეორიული საფუძვლები. კვლევის ამოცანებიდან და კითხვებიდან გამოდინარე, ნაშრომში გვერდს ვერ ავუვლით **რეგიონალიზმის** თეორიას, რომელიც გვეხმარება უკეთესად ავხსნათ „ვიშეგრადის ოთხეულის“ შექმნის კანონზომიერება. გარდა ამისა, ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის უკეთ გასაგებად ნაშრომი განიხილავს პოლიტიკური მეცნიერების ისეთ თეორიებს, როგორიცაა **გლობალიზაცია** და **ინტეგრაციის თეორია.**

ამრიგად, ნაშრომის ძირითად თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების ისეთი მიმდინარეობები როგორიცაა:

- პოპულიზმი;
- რადიკალიზმი;
- გლობალიზაცია;
- რეგიონალიზმი;
- ინტეგრაციის თეორია. [3]

ამასთან, ინტერდისციპლინური მიდგომის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა პოლიტიკური და სოციოლოგიური მიმართულების კვლევები, რომლებშიც შესწავლილი და აღწერილია პოპულისტური და რადიკალური პარტიების სტრუქტურა, მათი დაარსების ისტორია, იდეოლოგია, საზოგადოებაზე ზემოქმედებისა და გავლენის მოპოვების გზები და მეთოდები.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

თემის დამუშავების დროს, უკეთესი შედეგის მისაღებად,

[3] რობაქიძე გიორგი, პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება “ვიშეგრადის ოთხეულის” (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო შედეგები. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019, გვ. 7;

გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

- „Case study“-ს მეთოდი - რომელიც გვეხმარება გავაანალიზოთ „V4“-ის ქვეყნებში მოქმედი ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები, შევისწავლოთ მათი წარმატებისა თუ მარცხის მიზეზები, გამოვავლინოთ საერთო ტენდენციები.[4]
- „SWOT“ ანალიზი - აღნიშნული მეთოდი გამოყენებულია „V4“-ის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური სისტემის, და ზოგადად სახელმწიფო ინსტიტუტების ძლიერი და სუსტი მხარეების შესასწავლად. ასევე, კონკრეტული პოლიტიკური პარტიებისაგან მომდინარე საფრთხეების გამოვლენისა და გაანალიზების მიზნით;

სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული მეთოდები ძირითადად ეფუძნება თეორიული და ემპირიული კვლევის ისეთ საფუძვლებს, როგორიცაა:

ლოგიკა, ანუ სწორად აზროვნების სისტემა, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების საფუძველზე მივყავართ სანდო დასკვნის გაკეთებამდე;

დაკვირვება, ანუ ფართო მნიშვნელობით, სამყაროს შემეცნების ხერხი, რომელიც მიმართულია გარკვეული კვლევის ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელი სპეციფიკური ინფორმაციის მისაღებად.

გარდა ემპირიული კვლევის მეთოდებისა, ნაშრომში გამოყენებული თვისობრივი კვლევის ისეთი მეთოდები როგორიცაა:

- მონაცემთა ანალიზი
- მოვლენათა კლასიფიკაცია
- შედარებითი ანალიზი
- ისტორიულ-აღწერილობითი ანალიზი

[4] რობაქიძე გიორგი. დას. ნაშრ. გვ. 7;

ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

პოპულიზმი. პოლიტიკური მეცნიერება ტერმინ პ ო პ უ ლ ი ზ მ ს შემდეგ-ნაირად განმარტავს - „პოლიტიკური პროგრამა ან მოძრაობა, რომელიც ემსა-ხურება უბრალო ადამიანს, როგორც წესი, არსებულ ელიტებთან დაპირის-პირების გზით.“[5] პოპულიზმი ჯერ კიდევ ძველი რომის იმპერიიდან იღებს სათავეს როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, სადაც პოპუ-ლისტებს უწოდებდნენ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც გამოდიოდნენ უბრა-ლო ხალხის, პლებეების, ინტერესების დასაცავად. როგორც წესი ასეთი პოლიტიკოსები დიდი ორატორული ხელოვნებით გამოირჩეოდნენ და თავი-სუფლად ზემოქმედებდნენ მასების ცნობიერებაზე.[6] „Populus“ ლათინურად ნიშნავს- ხალხს.

„პოპულიზმი არაორდინარული მოვლენაა. მისი არსი კონკრეტულ ერთ განსაზღვრებას არ ემორჩილება და დიდი ლავირების უნარით გამოირჩევა“.[7] „პოპულისტი“ პოლიტიკოსი შეიძლება იყოს როგორც დემოკრატიული, ისე ავტორიტარული სისტემის წარმომადგენელი, ამასთან ის შეიძლება იყოს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ტიპის.

გარდა მეცნიერული განმარტებისა, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში ტერმინ *„პოპულიზმს“* პოლიტიკოსები და ექსპერტები ხშირად იყენე-ბენ მათთვის არასასურველი ან მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწეების დასახასიათებლად. „პოპულისტად“ შეიძლება მოინათლოს, როგორც ბოლი-ვიის მემარცხენე სოციალისტი ყოფილი ლიდერი **ევო მორალესი** (Evo Morales), ისე აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** (Donald Trump), რომელ-საც მემარცხენედ ვერ მივიჩნევთ. ტრადიციული პოლიტიკური მიმართუ-ლებების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავს უწოდებენ,

---

[5] პოპულიზმი - პოლიტიკური პროგრამა ან მოძრაობა. ენციკლოპედია ბრიტანიკა. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/topic/populism (ბოლო ნახვა 01.11.2019);

[6] კაპანაძე ლალი. *პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში.* დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა 2011. გვ. 14

[7] იქვე. გვ.20;

მაგალითად კონსერვატორებს, სოციალისტებს, ლიბერალებს და ა. შ., პოპულისტური პარტიების წევრები საკუთარ თავს „პოპულისტებს“ არ უწოდებენ. ეს, სავარაუდოდ, უკავშირდება სწორედ იმ ნეგატიურ კონტექსტს, რომელიც ამ ტერმინის მიმართ დამკვიდრდა თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში.

„პოპულიზმის“ შესახებ მასალების კვლევისას, ავტორთა შეხედულებები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ. პირველი ჯგუფი პოპულიზმს დემოკრატიის ყველაზე ნამდვილ (ხალას) ფორმად მიიჩვევს. ისინი თვლიან, რომ „პოპულიზმი“ ეს არის „დემოკრატიის ყველაზე უფრო სუფთა ფორმა“. ასე ფიქრობს, მაგალითად, შვედი ფილოსოფოსი **ტორბიორნ ტანსიო**[8]**.** სხვები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ „პოპულისტური მოძრაობის“ წარმომადგენლები „ჭეშმარიტი დემოკრატები“ არიან და „ხალხისათვის ძალაუფლების დაბრუნებას ითხოვენ“.[9] ამ აზრს ავითარებს, მაგალითად, ბრიტანელი პოლიტიკური თეორეტიკოსი **მარგარეტ კენოვენი**.

ავტორთა მეორე ნაწილი, ისეთები, როგორებიც არიან, მაგალითად, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი **პიერო იგნაზი** [10], აშშ-ის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი **მაიკლ კეზინი**[11] და ცნობილი არგენტინელი პოლიტიკური თეორეტიკოსი **ერნესტო ლაკლაუ**[12] მიიჩნევს, რომ პოპულიზმი არის თანამედროვე დემოკრატიული სისტემის განუყოფელი ნაწილი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობის იმ ჯგუფებს, რომლებმაც ვერ მოახდინეს საკუთარი თავის იდენტიფიცირება ტრადიციულ პარტიებთან, წარმოდგენილი იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი აზრით *„პოპულიზმი“* სასარგებლოა დემოკრატიისათვის, რადგან ის ოლიგარქიულ ჯგუფებს პოლიტიკური სისტემის სრული კონტროლის ხელში ჩაგდების საშუალებას არ აძლევს. მექსიკელი პოლიტიკური თეორეტიკოსი **ბენჯამენ არდიტი**

---

[8] TÄNNSJÖ Torbjörn. Populist Democracy: A Defence, Routledge. 1992;
[9] CANOVAN Margaret. *Populism for political theorists,* In: Journal of Political Ideologies, Vol. 9, № 3, 2004;
[10] IGNAZI Piero. Extreme Right Parties in Western Europe. Oxford OUP, 2003;
[11] KAZIN Michael. *The Populist Persuasion: An American History*. Cornell University Press, 1998;
[12] LACLAU Ernesto. *On populist reason,* London-New York: Verso, 2005;

წერდა, რომ: „პოპულიზმი თავაზიანი წვეულების მთვრალი სტუმარია: რომელიც ხმამაღალი ლაპარაკითა და სხვათა საუბრის გაწყვეტით არღვევს დამკვიდრებულ მკაცრ ეტიკეტსა და წესებს".[13]

ავტორთა მესამე (და ყველაზე მრავალრიცხოვანი) ჯგუფი ავითარებს აზრს, რომ პოპულიზმი დემოკრატიისათვის სახიფათო მოვლენაა. მათი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია აშშ-ში მოღვაწე წარმოშობით ჰოლანდიელი მეცნიერი **კას მუდე**, რომელიც მიიჩნევს, რომ პოპულიზმი მოჩვენებითი და მორალისტური იდეოლოგიაა, რომელიც უარყოფს პოლიტიკური ოპონენტების ლეგიტიმურობას[14]. კას მუდე თვლის, რომ *„პოპულიზმი"* განსაკუთრებით „მახინჯ" სახეს იღებს, როდესაც მისი მიმდევრები ძალაუფლებას იგდებენ ხელში, რადგან „პოპულისტი" პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ მოახდინონ ხელისუფლების უზურპირება და დაასუსტონ ის სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც მათ ძალაუფლებას ზღუდავენ.[15] მუდეს აზრით, ევროპაში „პოპულისტი" ლიდერების მხრიდან ძალაუფლების მონოპოლიზების მცდელობას შეგვიძლია დავაკვირდეთ პოლონეთში **იაროსლავ კაჩინსკის** (Jarosław Kaczyński), იტალიაში **სილვიო ბერლუსკონის** (Silvio Berlusconi) ან საბერძნეთში **ალექსის ციპრასის** (Alexis Tsipras) მოღვაწეობისას, თუმცა ამ ქვეყნებში არსებულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა სათანადო სიმტკიცე გამოამჟღავნეს და არ ჩამოიშალნენ. მისი აზრით, „პოპულისტი" ლიდერების ხელში მოხვედრილ უკონტროლო ძალაუფლების ნეგატიური შედეგების სრულად დანახვა შესაძლებელია ვენესუელის მაგალითზე (განსაკუთრებით, **ნიკოლას მადუროს** (Nicolás Maduro) მმართველობის პერიოდში), ევროპაში კი - შედარებით ნაკლები სიმწვავით, უნგრეთის მაგალითზე. ამ ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა, ხელისუფლებაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით მოსვლის

---

[13] ARDITI Benjamin. *Populism or politics at the edges of democracy*. In: Contemporary Politics № 9, 2003; [Populism is a drunken guest at a polite party: He can disrupt table manners and the tacit rules of sociability by speaking loudly, interrupting the conversations of others] არაოფიციალური თარგმანი;

[14] MUDDE Cas. The problem with populism, *The Guardian*, 15 February 2015;

[15] რობაქიძე გიორგი. დას. ნაშრ. გვ. 10;

შემდეგ, თავის სასარგებლოდ შეცვალეს საკუთარი ქვეყნის კონსტიტუცია, რითაც საგრძნობლად შეასუსტეს არსებული დემოკრატიული ინსტიტუტები. საბოლოოდ, კაზ მუდე ასკვნის, რომ: „პოპულიზმი, ეს არის არალიბერალური დემოკრატიული პასუხი არადემოკრატიულ ლიბერალიზმზე“ [16].

რადიკალიზმი. პოლიტიკური მნიშვნელობით ტერმინი *„რადიკალური“* პირველად გამოიყენა ინგლისის პარლამენტის წევრმა ვიგების პარტიიდან **ჩარლზ ჯეიმს ფოქსმა** (1749-1806წწ), რომელმაც 1797 წელს განაცხადა საარჩევნო სისტემასა და საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებული „რადიკალური რეფორმის“ შესახებ.[17] პოპულიზმისაგან განსხვავებით, რ ა დ ი კ ა ლ ი ზ მ ს პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების უმეტესობა მთლიანად ნეგატიურ გამოვლინებად მიიჩნევს. მეცნიერები ასახელებენ რადიკალიზმის სხვადასხვა ფორმას, მემარჯვენეს, მემარცხენეს, რელიგიურს, ეკოლოგიურს და სხვ. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია რადიკალიზმის ორი უმთავრეს მიმართულება - მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალიზმი.

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი **ლიუკ მარჩი** *„ულტრა-მემარცხენე“*(Far Left) იდეოლოგიის მატარებელ პარტიად მიიჩნევს ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც საკუთარ თავს ტრადიციულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებზე „უფრო მარცხნივ“ ხედავს. ხშირ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატებს საერთოდ არ მიაჩნიათ ასეთი რადიკალური ძალები მემარცხენე პარტიებად.[18]

ლ. მარჩის აზრით, *„ულტრა-მემარცხენე“* პარტიები ორ ქვეჯგუფად

---

[16] MUDDE Cas. *Populism in the Twenty-First Century: An Illiberal Democratic Response to Undemocratic Liberalism.* University of Pennsylvania 2018. [Populism is an illiberal democratic response to undemocratic liberalism] არაოფიციალური თარგმანი;
[17] შუბითიძე ვაჟა. *რადიკალიზმის და ზომიერების დილემა საერთაშორისო პოლიტიკაში.* ჟურნალი "პარალელი". N13, 2022, გვ.121-130;
[18] MARCH, Luke. Radical Left Parties in Europe, Extremism and Democracy. Routledge, 2012;

იყოფა: *„რადიკალურ მემარცხენე“* პარტიებად (Radical Left Parties) *და „უკიდურეს მემარცხენე“* პარტიებად (Extreme Left Parties) [19]. *„რადიკალური მემარცხენე“* იდეოლოგიის პარტიების ძირითად ამოცანას კაპიტალიზმის სისტემური ცვლილება წარმოადგენს. ამასთან, მათი უმრავლესობა აღიარებს არსებული დემოკრატიული სისტემის ძირითად პრინციპებს, მაგრამ აუცილებლად მიიჩნევს მის ძირეულ რეფორმირებას. ეს პარტიები მთავარ გამოწვევად *„ნეოლიბერალიზმსა“* და *„გლობალურ კაპიტალიზმს“* მიიჩნევენ და გამოდიან რესურსების უფრო თანაბრად გადანაწილების მოთხოვნით.[20] *„რადიკალური მემარცხენე“* პარტიები თავისი არსით ინტერნაციონალური არიან, ისინი ხშირად გამოდიან საზოგადოების შედარებით მარგინალური ჯგუფების, მაგალითად უმუშევრების, უცხოელი მიგრანტების და ა. შ., დაცვის მოთხოვნით და ცდილობენ მათ ჩართვას არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში.

„უკიდურესი მემარცხენე“ იდეოლოგიის პარტიები, *„რადიკალურ მემარცხენე“* პარტიებისაგან განსხვავებით, არ აღიარებენ არსებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემას და მიუღებელად მიიჩნევენ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან (მათ შორის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პარტიებთან) თანამშრომლობას[21]. ამ პარტიებისთვის ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი რევოლუციაა, რომლის საშუალებითაც ისინი საკუთარი დიქტატურის დამყარებას ცდილობენ. ასეთი იყო, მაგალითად, **ვლადიმირ ლენინის** (Владимир Ильич Ульянов, „Ленин“) ხელმძღვანელობით შექმნილი რუსეთის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის და მისი სატელიტური სოციალისტური ბლოკის ჩამოშლამ დიდი დარტყმა მიაყენა *„უკიდურეს მემარცხენე“* იდეოლოგიას. ამ ტიპის პარტიების უმეტესობა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მარგინალურ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა.

---

[19] MARCH Luke. *Contemporary Far Left Parties in Europe from Marxism to the Mainstream?* International Policy Analysis, Friedrich-Ebert-Stiftung, November 2008;
[20] MARCH Luke and MUDDE, Cas. *What's Left of the Radical Left? Comparative European Politics*, Palgrave Macmillan, 2005, გვ. 25;
[21] MARCH Luke. *op. cit.*;

„ულტრა-მემარცხენე“ პარტიებისაგან განსხვავებით, რომელთა აქტივობაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საგრძნობლად შემცირდა სოციალისტური ბლოკის ჩამოშლის შემდეგ, *„ულტრა-მემარჯვენე“* იდეოლოგიის პარტიები, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, აღმავლობის გზაზე დგანან.[22] შესაბამისად, პოლიტიკურ მეცნიერებაში, *„ულტრა-მემარჯვენე“* იდეოლოგიისა და პარტიების შესახებ არაერთი ნაშრომია შექმნილი.

გერმანელი მეცნიერის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის **კლაუს ფონ ბეიმეს** თეორიის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ევროპაში რადიკალიზმის სამი ტალღა შეიძლება გამოვყოთ. პირველი ტალღა (ე. წ. ნოსტალგიური) - იყო 1945-1950 წლებში, მეორე ტალღა (ე. წ. ანტისაგადასახადო) 1950-1960 წლებში, ძირითადად საფრანგეთში. მესამე ტალღა - 1970-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და ის დღემდე გრძელდება. *„ულტრა-მემარჯვენე“* პარტიების აღმავლობის მესამე ტალღა ყველაზე წარმატებული პერიოდია ამ ტიპის პარტიებისათვის ფაშისტური და ნაცისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ.[23]

გერმანელი მეცნიერის, მაინცის უნივერსიტეტის პროფესორის, **კაი არცჰაიმერის** აზრით, თანამედროვე *“ულტრა-მემარჯვენე“* პარტიები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, როგორც იდეოლოგიური კუთხით, ისე მათი წევრების სოციალური კუთვნილების თვალსაზრისით.[24] ამ მრავალფეროვნების დასახასიათებლად, მეცნიერები ხშირად იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა *„რადიკალური მემარჯვენე“* (Radical Right), *„პოპულისტი მემარჯვენე“* (Populist Right), *„უკიდურესი მემარჯვენე“* (Extreme Right), *„პოპული-*

---

[22] IGNAZI Piero. *The Silent Counter-Revolution*. In: European Journal of Political Research, N 22, 2006, გვ. 3 – 34;

[23] MUDDE Cas. *The Study of Populist Radical Right Parties: Towards a Fourth Wave*. In: C-REX Working Paper Series N1/2016. University of Oslo and University of Georgia. 2016;

[24] ARZHEIMER Kai. Electoral sociology: Who votes for the extreme right and why – and when? Backes U. and Moreau P. (eds) The Extreme Right in Europe: Current Trends and Perspectives, Göttingen, Vandenhoeck and Ruprecht, 2002, გვ. 35–50;

სტი რადიკალი მემარჯვენე“ (Populist Radical Right) და ა. შ. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად ვიმსჯელებთ *„უკიდურეს მემარჯვენე“* და *„პოპულისტ რადიკალ მემარჯვენე“* პარტიებზე.[25]

„უკიდურესი მემარჯვენე“ იდეოლოგიისა და პარტიების განმარტება თანამედროვე მეცნიერებაში არაერთგვაროვანია. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ ტერმინ *„უკიდურეს მემარჯვენეს“*, მეცნიერულის გარდა, პოლიტიკური დატვირთვაც აქვს და მას განსხვავებულ კონტექსტში იყენებენ როგორც სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, ისე მედია-საშუალებების წარმომადგენლები.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის **როი მაკრიდისის** განმარტებით *„უკიდურესი მემარჯვენე“* იდეოლოგია „ტრიალებს ძველი, ნაცნობი თემების ირგვლივ, როგორიცაა რასიზმი, ქსენოფობია და ნაციონალიზმი“[26]. ზემოთ უკვე ნახსენები კაზ მუდე კი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში არსებული *„უკიდურესი მემარჯვენე“* იდეოლოგიის განმარტებების თითქმის ნახევარი შეიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ნაციონალიზმი, რასიზმი, ქსენოფობია, ანტი-დემოკრატიულობა და ძლიერი სახელმწიფო.[27]

ტერმინი *„პოპულისტი რადიკალი მემარჯვენე“* შედარებით ახალია და ის გამოიყენება ისეთი პოლიტიკური პარტიების აღსანიშნავად, რომელთა იდეოლოგიაც, ერთი მხრივ, მოიცავს *„უკიდურესი მემარჯვენე“* იდეოლოგიის ასპექტებს, მეორე მხრივ კი, უხვადაა გაჯერებული *„პოპულისტური“* თემებით, რაც უზრუნველყოფს მათი იდეების საკმაო წარმატებას საზოგადოების შედარებით ფართო ნაწილში. *„პოპულისტი რადიკალი მემარჯვენე“* პარტიების ძირითადი იდეოლოგია დაფუძნებულია *„ნატივიზმზე“* (ნატივიზმი - პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ადგილობრივ (მკვიდრ) მოსახლეობას

---

[25] რობაქიძე გიორგი. დას. ნაშრ. გვ 13;
[26] MACRIDIS Roy C. *Contemporary Political Ideologies: Movements and Regimes*. Glennview Scott, Foresman and Company, 4th edition, 1989, გვ. 231;
[27]MUDDE, Cas. *The ideology of the extreme right*. Manchester Univ. Press. 2002;

უპირატესობას ანიჭებს ჩამოსულ მოსახლეობასთან შედარებით)[28], *„ავტორიტარიზმსა“ და „პოპულიზმზე“*[29].

აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი პარტიების გაძლიერება უწყობს ხელს ევროპულ საზოგადოებაში ე. წ. ევროსკეპტიკური განწყობების ზრდას. ამ პარტიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვეტა ეროვნულ დონეზე უნდა მოხდეს და ნაკლები ანგარიში უნდა გაეწიოს მეზობელი ქვეყნების ინტერესებს.

გლობალიზაცია და რეგიონალიზმი. წინამდებარე ნაშრომში გვერდს ვერ ავუვლით პოლიტიკური მეცნიერების ისეთ თემებს, როგორიცაა „გ ლ ო ბ ა ლ ი ზ ა ც ი ა“ და „რ ე გ ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი“ და მათ გავლენას ქვეყნების შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ საერთაშორისო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობათა ერთობლიობას, თუმცა ბრიტანელი მეცნიერის **ენდრიუ ჰეივუდის** აზრით, ამ პარადიგმამ 1980-იანი წლებიდან ცვლილება განიცადა. დღეს მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგადაჯაჭვულობის გამო დღევანდელი მსოფლიო უკვე აღარ წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების გაერთიანებას, არამედ ის არის განუყოფელი, ინტეგრირებული, მთელი. ჰეივუდი თანაბრად აბსურდულად მიიჩნევს მსოფლიო პოლიტიკური ასპარეზიდან სახელმწიფოს და ეროვნული მთავრობის „ჩამოწერას“, ისევე როგორც იმის აღიარებას, რომ მთავრობებს შესწევთ უნარი იმოქმედონ გლობალური ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.[30] ჰეივუდის ამ მოსაზრების სისწორეს ნათლად ადასტურებს 2020 წლის დასაწყისში განვითარებული მოვლენებიც, როდესაც ჩინეთის პროვინციულ ქალაქ ვუჰანში დაწყებული ვირუსული ინფექციის პანდემია, სულ

---

[28]ნატივიზმი - ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი, ელექტრონული გამოცემა. https://en.oxforddictionaries.com/definition/nativism (ბოლო ნახვა 14.11.2019);
[29]MUDDE Cas. Three decades of populist radical right parties in Western Europe: So what? In: European Journal of Political Research, 2013, გვ.1–19;
[30] HEYWOOD Andrew. *Global Politics*. Palgrave Macmilan, 2011, გვ.1;

რამდენიმე თვეში მოედო მთელ მსოფლიოს, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და უდიდესი ზიანი მიაყენა გლობალურ ეკონომიკას.

რაც შეეხება „რ ე გ ი ო ნ ა ლ ი ზ მ ს“, ის *„გლობალიზაციისაგან“* განსხვავებით უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებს და გარკვეული ქვეყნებისა თუ ერების საერთო ან მსგავს იდენტობაზე დაფუძნებული თანამშრომლობაა. ამერიკელი მეცნიერის **ჯოზეფ ნაის** დეფინიციით საერთაშორისო რეგიონი "ესაა შეზღუდული რაოდენობის ქვეყნების ერთობლიობა, რომლებიც გეოგრაფიულად ერთ სივრცეში მდებარეობენ და გააჩნიათ გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი"[31].

თანამედროვე *„რეგიონალიზმი“* 1960-იანი წლებიდან იწყებს გაძლიერებას, როდესაც აფრიკისა და აზიის ყოფილმა კოლონიურმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლეს. ამ ქვეყნებს მიაჩნდათ, რომ სწორედ რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების გზით შეძლებდნენ უკეთესი შედეგის მიღწევას ყოფილ კოლონიურ ძალებთან ურთიერთობაში.[32] რეგიონული თანამშრომლობის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირიც, თუმცა ევროკავშირის შიგნითაც უხვადაა სუბ-რეგიონული თანამშრომლობის მაგალითები (ბენელუქსის ქვეყნები, ბალტიის ქვეყნები, სკანდინავიის ქვეყნები და ა. შ.). რეგიონული თანამშრომლობის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს გვაძლევს „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნების ჯგუფიც, რომელიც წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს.

ინტეგრაციის თეორია. კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ესაა „ი ნ ტ ე გ რ ა ც ი ი ს თ ე ო რ ი ა“. თანამედროვე მეცნიერებაში *„ინტეგრაციის თეორიაზე“* საუბრისას მისი განვითარების რამდენიმე ეტაპს გამოყოფენ. კერძოდ ეს ეტაპებია „ფ ე დ ე რ ა ლ ი ზ მ ი“, „ნ ე ო - ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი“ და „ი ნ ტ ე რ გ ა ვ ე რ მ ე ნ ტ ა ლ ი ზ მ ი“.

---

[31] NYE Joseph. *International Regionalism*, Boston: Little & Brown, 1968; [A limited number of states linked together by a geographical relationship and by a degree of mutual interdependence] არაოფიციალური თარგმანი;
[32] HEYWOOD Andrew. op. cit. გვ.487;

პოლიტიკურ მეცნიერებაში *„ფედერალიზმის“* საყოველთაოდ დამკვიდრებული განმარტება არ არსებობს. სხვადასხვა მეცნიერული სკოლები და მკვლევარები ფედერალიზმის განმარტების განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ. ამასთან, ფედერალიზმს სხვადასხვა ერისთვის სხვადასხვა დროსა და კონტექსტში სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობა ჰქონდა[33]. მიუხედავად ამისა შესაძლებელია გამოვყოთ ფედერალიზმის თეორიაში არსებული რიგი საერთო თვისებები, რომლებიც გამოიყენება ისეთი მოვლენის ასახსნელად, როგორიცაა მაგალითად ევროპული ინტეგრაციის პროცესი.

„*ფედერალიზმი* - ცდილობს ერთმანეთთან დააკავშიროს გარკვეულ სფეროებში ერთობისა და თანაცხოვრების სურვილი სხვა სფეროებში განსხვავებულობისა და ავტონომიურობის სურვილთან“ [34] - გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორის **ელიოტ ბალმერის** ეს განსაზღვრება ალბათ ყველაზე უკეთ ასახავს ფედერალიზმის იმდაგვარ ხედვას, რაც ჩემი აზრით საფუძვლად დაედო ევროპული კავშირის ინტეგრაციულ პროცესს. სწორედ განსხვავებების გათვალისწინება და მათი ერთიან სისტემაში სრულად ასახვაა ფედერალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. ამ ამოცანის არასათანადოდ შესრულება საბოლოოდ აუცილებლად გამოიწვევს ფედერალური სისტემის რღვევას. უნიტარული პოლიტიკური სისტემისაგან განსხვავებით, სადაც მთელი ძალაუფლება ცენტრალური მთავრობის ხელშია თავმოყრილი, ფედერალურ სისტემაში ძალაუფლება კომპლექსურადაა გადანაწილებული და სახელშეკრულებო დოკუმენტით (კონსტიტუცია, შეთანხმება და ა. შ.) მკაფიოდაა განსაზღვრული ფედერალური ხელისუფლებისა და ფედერაციულ სისტემაში შემავალი სუბიექტების კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები. თავად ტერმინიც - *„ფედერალური“, „ფედერალიზმი“*- სათავეს იღებს ლათინური სიტყვიდან „FOEDUS“ და/ან „FIDES“, რაც ნიშნავს „შეთანხმებას“,

---

[33] BURGESS Mark. *Federalism*, A. Wiener and T. Diez (eds.), European Integration Theory. Oxford University Press. 2009, გვ. 25;

[34] BULMER Elliot. *Federalism,* International Institute for Democracy and Electoral Assistance (International IDEA) Second edition, 2017, გვ.5. [Federalism attempts to reconcile a desire for unity and communality on certain issues with a desire for diversity and autonomy on others] არაოფიციალური თარგმანი;

„ნდობას“.[35]

ევროპული ინტეგრაციის პროცესის სიღრმისეულად ასახსნელად დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ თეორიას „ნ ე ო ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი“ წარმოადგენს. ამ სკოლის ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეები არიან ამერიკელი მეცნიერები, კოლუმბიის უნივერსიტეტის გერმანული წარმოშობის პროფესორი **ერნსტ ჰაასი** (Ernst Bernard Haas) და ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორი **ლეონ ლინდბერგი** (Leon Nord Lindberg). *„ნეო-ფუნქციონალიზმი“* ცდილობს შეიმუშაოს ისეთი მოდელი, რომელიც მეცნიერულად ახსნის ინტეგრაციის მზარდ დონესა და მის მიმზიდველობას. *„ნეო-ფუნქციონალიზმი“* რამდენიმე ძირითად ინტელექტუალურ პოსტულატს ეყრდნობა. კერძოდ:

- პირველი პოსტულატი - როდესაც ქვეყნები თანხმდებიან ითანამშრომლონ ერთ რომელიმე სფეროში, ეს თანამშრომლობა წარმოშობს სხვა სფეროებში თანამშრომლობისაკენ მისწრაფებას (ე. წ. Spill over, „თოვლის გუნდის ეფექტი“)[36];
- მეორე პოსტულატი - ეკონომიკური ინტეგრაცია თითქმის ყოველთვის იწვევს შიდა-სახელმწიფოებრივი დონის აქტორებს შორის ურთიერთქმედების ზრდას, რასაც მოსდევს ინტერესთა ჯგუფების შექმნა და მათი სწრაფი განვითარება. თავის მხრივ ამ პროცესს მივყავართ პოლიტიკური თანამშრომლობის ზრდისკენ;
- მესამე პოსტულატი - სუპრა-ნაციონალური (ანუ ზე-სახელმწიფოებრივი) ორგანო, რომელიც იქმნება ინტეგრაციული პროცესების ზედამხედველობის მიზნით (ევროკავშირის შემთხვევაში ესაა ევროკომისია), თავად იწყებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავებას ინტეგრაციული პროცესების

[35] DOSENRODE Søren. *Federalism Theory and Neo*-Functionalism: Elements for an Analytical Framework, Perspectives on Federalism, Vol. 2, 2010, გვ.10;
[36] JARVIS D. Integration Theory Revisited: Haas, Neo-Functionalism, and the Problematics of European Integration, Policy, Organisation and Society, Taylor and Francis Group LLC, 1994 გვ.23;

გაღრმავებისა და მისი სხვა სფეროებზე გავრცელების მიზნით.[37]

კიდევ ერთი თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას ევროპული ინტეგრაციის პროცესი, ესაა - „ი ნ ტ ე რ გ ა ვ ე რ მ ე ნ ტ ა ლ ი ზ მ ი“, რაც ინგლისურიდან თარგმანში ნიშნავს „მთავრობათაშორის“-ს. ის შედარებით ახალი მიმართულებაა ინტეგრაციულ თეორიაში. მისი მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ინტეგრაციულ პროცესში გადამწყვეტი როლი ეროვნულ მთავრობებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს ენიჭებათ. სწორედ მათი ინტერესები განაპირობებს ამა თუ იმ ინტეგრაციული პროცესის დაჩქარებას ან პირიქით შენელებას. *„ინტერგავერმენტალისტური“* სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი **სტენლი ჰოფმანი** (Stanley Hoffmann), პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი **ენდრიუ მორავჩიკი** (Andrew Moravcsik), ლონდონის ეკონომიკური სკოლის პროფესორი **საიმონ ჰიქსი** (Simon Hix) და სხვები.

<u>ნაშრომის ძირითადი შინაარსი</u>

თავი I: „ვიშეგრადის ოთხეულის“ (V4) შექმნის ისტორიული წანამძღვრები

1990-იანი წლების დასაწყისში ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების რღვევის პროცესი უკვე დასრულებული იყო და დღის წესრიგში იდგა ამ „პოსტ-კომუნისტური“ ქვეყნების დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხი, რითაც, უპირველეს ყოვლისა, თავად ამ ქვეყნების მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტები იყვნენ დაინტერესებულნი.

ევროკავშირში ყველა „პოსტ-კომუნისტური“ ქვეყნის დაუყოვნებლივ

[37] NIEMANN A. & SCHMITTER P.,*Neo-functionalis'*, Wiener, Antje and Diez, Thomas (eds) Theories of European Integration, Oxford: Oxford University Press, 2nd Edition, 2009 გვ. 45-66;

მიღება შეუძლებელი იქნებოდა, გაერთიანებისთვის და თავად ამ ქვეყნებისათვის ეკონომიკური და, აგრეთვე, პოლიტიკური პრობლემების შექმნის გარეშე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ევროკავშირის ერთიან ბაზარში ცენტრალური ევროპის ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების ჩართვას *„შოკური თერაპიის“* ეფექტი ექნებოდა და საბოლოოდ დაანგრევდა ამ ქვეყნების მყიფე ინდუსტრიას. სწორედ ამიტომ, ევროკავშირს მოუხდა ე. წ. *„კოპენჰაგენის კრიტერიუმების“* შემუშავება, რათა პრეტენდენტი სახელმწიფოები მოემზადებინა ერთიან ეკონომიკურ სივრცეში არსებობისათვის.[38] უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში ევროკავშირი ამჯობინებდა ემუშავა მეტნაკლებად ხელოვნურად შექმნილ „რეგიონებთან“ (ბალტიის ქვეყნები, აღმოსავლეთ ბალკანეთი, ცენტრალური ევროპა), ვიდრე ცალკეულ სახელმწიფოებთან.

სწორედ დასავლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე არსებული პრობლემების სწრაფად მოგვარების მიზნით 1991 წლის 15 თებერვალს, უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში(Visegrád) პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. მოგვიანებით, ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიანი გაყოფის შემდეგ, როდესაც ერთიანი ჩეხოსლოვაკიის ნაცვლად ამ ჯგუფს ცალ-ცალკე შეუერთდნენ ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკები, გაერთიანებას ეწოდა „ვიშეგრადის ოთხეული“, ან შემოკლებით „V4“.

ამ რეგიონული გაერთიანების შექმნის უმთავრესი მიზანი რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული, კერძოდ:

- ცენტრალური ევროპის გათავისუფლება კომუნისტური ბლოკის ნარჩენებისაგან;
- ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის ისტორიულად არსებული პოლიტიკური ანტაგონიზმის დაძლევის სურვილი;

[38]GACHECHILADZE Revaz and ROBAKIDZE George. European Integration in a Political-Geographical Context: a Comparison of the Baltic States and the South Caucasus. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 13, #4, 2019;

- რწმენა, რომ ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი იქნებოდა სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის მეტი წარმატებით განხორციელება და, რაც ყველაზე მთავარია, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება.[39]

„V4“ არ არის ინსტიტუციონალიზებული ორგანიზაცია. იგი ეფუძნება წევრი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენელთა პერიოდული შეხვედრების პრინციპს სხვადასხვა დონეზე (*სახელმწიფოთა მეთაურები, მინისტრები და ა. შ.*). მიუხედავად ამისა, „V4“-ს შეიძლება თამამად ვუწოდოთ ცენტრალურ ევროპაში ყველაზე წარმატებული თანამშრომლობის ინიციატივა.

იმისათვის, რომ „ვიშეგრადის ოთხეულის“ შექმნა და მასში ცენტრალური ევროპის ოთხი სახელმწიფოს - პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის - გაერთიანების კანონზომიერება კიდევ უფრო გასაგებად ყოფილიყო ახსნილი, ნაშრომის პირველ თავში მიმოხილულია „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნების XX საუკუნის მოკლე ისტორია.

თავი დაყოფილია ექვს თემატურ ქვეთავად:

1. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკები ცენტრალურ ევროპაში
2. კომუნიზმის ექსპორტი
3. კომუნისტური მმართველობა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში
4. დისიდენტური მოძრაობები და მათი ნაირსახეობა
5. პოლიტიკური ცვლილებები ცენტრალურ ევროპაში - კომუნისტური რეჟიმების დასასრული
6. სოციო-პოლიტიკური ვითარება 1990-იანი წლების დასაწყისში და „ვიშეგრადის ოთხეულის“ (V4) შექმნის წინაპირობა, მიზნები, ამოცანები, სტრუქტურა

ამასთან, ყველა ქვეთავში, ცალ-ცალკე არის აღწერილი ვიშეგრადის ოთხეულის თითოეულ ქვეყანაში არსებული ვითარება, რაც იძლევა ამ ქვეყნების შედარებითი ანალიზის კარგ საფუძველს.

[39] http://www.visegradgroup.eu/about/history;

თავი II: „V4“-ის ქვეყნების ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

არავისთვისაა საკამათო, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნების სწრაფ დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების პროცესმა. თუმცა ამ პროცესის უკეთ გასაგებად, ნაშრომში მოკლედ აღწერილია დასავლეთ ევროპაში 1990-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესებიც.

გლობალურმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, რასაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დაცემა, საბჭოთა კავშირის დაშლა და გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ბიძგი მისცა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლას. 1986 წელს დაარსებული ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (European Economic Community-EEC)[40], რომელმაც 12 დასავლეთ და სამხრეთ ევროპულ სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა შეექმნათ ერთიანი ბაზარი და შემოეღოთ ე. წ. ოთხი თავისუფლება ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სახით[41], უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ამ ქვეყნებს შორის გაზრდილი ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ამ გაერთიანების რეფორმირების აუცილებლობა. რამდენიმეწლიანი ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, 1992 წლის 7 თებერვალს, ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა“ გარდაიქმნა „ევროპულ კავშირად“ და მან

[40] Creation of the European Economic Community. ენციკლოპედია ბრიტანიკა. ელექტრონული გამოცემა. https://tinyurl.com/2hecc2cc;

[41] ჭყოიძე ვასილ. *კონსტიტუცია ევროპისათვის და მიმდინარე დებატები.* ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007. გვ. 13;

ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური მდგენელიც შეიძინა.[42]

ევროპული ინტეგრაციის თანამედროვე გაგება, პირველ რიგში გულისხმობს თვით ევროკავშირის კონსოლიდაციას და ამ გაერთიანებასთან სხვა ევროპული სახელმწიფოების დაახლოებას. ამასთან, ევროპული ინტეგრაცია შეიძლება განხილული იქნას, როგორც ევროკავშირში უკვე არსებული დამაახლოვებელი პროცესების კიდევ უფრო გაღრმავება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაფართოება და გაღრმავება არის ევროპული ინტეგრაციის ორი მხარე[43].

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან დასავლეთევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები დროში სწორედ ევროკავშირის რეფორმირების პროცესს დაემთხვა და შესაბამისად, საწყის ეტაპზე, ევროკავშირის მხრიდან ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით ხშირად ორაზროვანი და ბუნდოვანი განცხადებები კეთდებოდა. ერთი მხრივ, მიიჩნეოდა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციისა და რეფორმირების ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვებოდა ევროკავშირის ბიუჯეტს, მეორე მხრივ, ამ ქვეყნების ჯერ კიდევ აუთვისებელი ბაზრები განვითარების კარგ შესაძლებლობებს სთავაზობდა დასავლეთევროპულ კომპანიებს[44]. განსხვავებული იყო ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულებაც. ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირის სტრუქტურებში სწრაფ ინტეგრაციას აქტიურად უჭერდა მხარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მაშინ როცა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები - იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი - ამ პროცესის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი. საკუთარი, განსხვავებული

---

[42] ევროკავშირის განვითარების ეტაპები. საქართველო და ევროკავშირი. საინფორმაციო ცენტრი. http://old.infocenter.gov.ge/euinfo-structure/#1;

[43] გოგოლაშვილი კახა. *წინასიტყვაობა.* ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია". საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007. გვ. 9;

[44] KÜHNHARDT Ludger. *The Fall of the Berlin Wall and European Integration.* In: 20 Years after the Fall of the Berlin Wall. Editor: Dr. Wilhelm Hofmeister. KAS 2009. გვ. 47-60;

პოზიცია გააჩნდა საფრანგეთს, რომლის იმდროინდელი ლიდერიც, პრეზიდენტი **ფრანსუა მიტერანი**, 1990 წლის ბოლოს „ევროპული კონფედერაციის“ შექმნის იდეით გამოვიდა, სადაც დღევანდელი ეუთოს წინამორბედი ორგანიზაციის „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ კონფერენციის“ (Conference on Security and Co-operation in Europe - CSCE) წევრი ქვეყნები უნდა გაწევრიანებულიყვნენ (აშშ-სა და საბჭოთა კავშირის გარეშე),[45] თუმცა ეს წინადადება მალევე იქნა უარყოფილი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ევროკავშირში გაწევრიანება საკმაოდ რთული და ამასთან დროში გაწელილი პროცესია. ამასთან გაწევრიანების გზაზე შედგომა არ იძლევა ამ გზის ბოლომდე გავლის გარანტიას, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს თურქეთი,[46] რომელმაც ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი ჯერ კიდევ 1987 წელს შეიტანა.

ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის ფორმალური შეთანხმებების გაფორმება 1989 წლიდან დაიწყო. 1989 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ცენტრალური ევროპის ქვეყნების დახმარების ფინანსური მექანიზმი - PHARE (Poland and Hungary Assistance for Restructuring of Economies).[47] თავდაპირველად, პროგრამა პოლონეთისა და უნგრეთის რესპუბლიკების ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის მიზნით შეიქმნა, თუმცა მოგვიანებით ის ყველა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე გავრცელდა, მათ შორის ბალტიის ქვეყნებზეც.

1990 წელს ევროკომისიის მაშინდელი პრეზიდენტი **ჟაკ დელორი** (Jacques Delors) გამოვიდა ინიციატივით, ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან, მათი სურვილის შემთხვევაში, გაფორმებულიყო ასოცირების ხელშეკრულება. ამ

---

[45] WOYKE Wichard. *Germany and the EU-Eastern Enlargement.* In: LOTH Wilfried, PĂUN Nicolae, Disintegration and Integration in East-Central Europe: 1919 – post-1989. Nomos Verlagsgesellschaft mbH 2014. გვ. 305.
[46] კაპანაძე სერგი. დას. ნაშ. გვ. 112;
[47] The PHARE Programme and the enlargement of the European Union. ევროპარლამენტის ვებგვერდი. https://www.europarl.europa.eu/enlargement/briefings/33a1_en.htm;

ხელშეკრულებებს სხვანაირად „ევროპის შეთანხმებასაც“ („Europe Agreement“)[48] უწოდებენ. თუ მოვლენებს წინ გავუსწრებთ, უნდა ვთქვათ, რომ 2013 წელს საქართველომაც გააფორმა ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, თუმცა „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ევროპულ კავშირში ინტეგრაციის პერსპექტივას.[49]

1994 წელს ზემოაღნიშნულ ასოცირების ხელშეკრულებას პირველებმა ხელი მოაწერეს პოლონეთმა და უნგრეთმა, ერთი წლის შემდეგ, 1995 წელს, მათ ჩეხეთი და სლოვაკეთიც შეუერთდნენ.[50] ასოცირების ხელშეკრულება საშუალებას აძლევდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებს ევროკავშირთან თანამშრომლობა ინსტიტუციურ ჩარჩოებში მოექციათ.

ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე შემდგომი ნაბიჯი 1997 წელს გადაიდგა, როდესაც 12-13 დეკემბერს, ლუქსემბურგში გამართული ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით „V4“-ის წევრ სამ ქვეყანასთან - პოლონეთთან, ჩეხეთსა და უნგრეთთან, ევროკავშირმა დაიწყო „გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები“ (Accession Talks)[51]. ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები რთული და კომპლექსური პროცესია, რაც ევროკავშირის მოცულობითი კანონმდებლობის (ე. წ. Acquis communautaire-ის, რომელიც დაახლოებით 80 ათას გვერდს მოიცავს) ადაპტირებას და ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვას გულისხმობს.

პირველ ეტაპზე, სლოვაკეთი ამ პროცესის მიღმა დარჩა, რადგან ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიანი გაყოფის შემდეგ, სლოვაკეთში ძალაუფლება

---

[48] Europe Agreement - განმარტება. https://tinyurl.com/bdejtnfw;

[49] რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი რობაქიძე. *ევროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“ მასალები. 2019. გვ. 3;

[50]Luxembourg European Council 12-13 December 1997. Presidency conclusions - http://aei.pitt.edu/43332/;

[51] European Commission. *Enlargement of the European Union an historic opportunity*. Brussels Edition 2001. გვ. 31 http://aei.pitt.edu/41185/1/A5181.pdf;

ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერისა და პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსის **ვლადიმირ მეჩიარის** (Vladimir Mečiar) ხელში აღმოჩნდა, რომლის მმართველობის პერიოდიც უხვად იყო გაჯერებული კორუფციული სკანდალებით, კრიმინოგენული ვითარების გაუარესებითა და ეკონომიკური ჩავარდნით.[52] ვ. მეჩიარის მმართველობის დროინდელ სლოვაკეთს აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი **მადლენ ოლბრაიტი** (Madeleine Albright) „ევროპის შავ ხვრელსაც" კი უწოდებდა.[53] ყოველივე ამან საგრძნობლად შეაფერხა სლოვაკეთის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. მხოლოდ მეჩიარის არჩევნებში დამარცხებისა და სლოვაკეთის ხელისუფლებაში რეფორმატორი პოლიტიკოსის **მიკულაშ ძურინდას** (Mikuláš Dzurinda)[54] მოსვლის შემდეგ მოახდინა სლოვაკეთმა სწრაფი სვლა ევროპული მიმართულებით და 1999 წელს ევროკავშირმა სლოვაკეთთანაც დაიწყო გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები.

ევროკავშირში გაწევრიანების პარალელურად, რომელიც უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, ცენტრალური ევროპის ახლად შექმნილი დემოკრატიული ქვეყნების განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა უსაფრთხოების საკითხს და იმ საფრთხის განეიტრალებას, რაც შესაძლოა კვლავ წამოსულიყო საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის - რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

მიუხედავად ცენტრალური ევროპის ქვეყნების აქტიური მცდელობისა, 1992-1993 წლებში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რამდენჯერმე გადადო გაფართოების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, რამაც ამ ქვეყნების იმედგაცრუება გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსეთის ფედერაცია, თუმცა, ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის სასიკეთოდ,

---

[52] ვლადიმირ მეჩიარი - ბიოგრაფია. ენციკლოპედია ბრიტანიკა. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Vladimir-Meciar;
[53] DZURINDA Mikuláš. *Slovakia, still the 'black hole' of Europe.* In: Politico. March 16, 2018. https://www.politico.eu/article/slovakia-black-hole-of-europe/;
[54] მიკულაშ ძურინდა - ბიოგრაფია. https://tinyurl.com/9msy33h6;

ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ რუსეთს აღარ გააჩნდა ის საერთაშორისო წონა, რომელიც ამ პროცესის შეჩერებას შეძლებდა. საბოლოოდ, 1994 წელს, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ, რომელიც ნატო-ს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა, მიიღო გადაწყვეტილება ალიანსის შემდგომი გაფართოების შესახებ.[55]

გაფართოების პირველ ტალღაში ცენტრალური ევროპის ქვეყნები მოიაზრებოდნენ. თუმცა, ევროკავშირში გაწევრიანების მსგავსად, შიდაპოლიტიკური სირთულეების გამო ამ ტალღაში ვერ მოხვდა სლოვაკეთის რესპუბლიკა. მოგვიანებით მან მოახერხა შესაბამისი რეფორმების ფორსირებულად გატარება და გახდა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი.

პირველი თავის მსგავსად, მეორე თავიც დაყოფილია თემატურ ქვეთავებად, კერძოდ:

1. პოსტსოციალისტური პოლონეთის პოლიტიკური განვითარების თავისებურებები და ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში და პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის განწყობები;
2. პოლიტიკური პროცესები უნგრეთში სოციალისტური სისტემის დანგრევის შემდეგ და მისი ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში;
3. ჩეხეთის პოლიტიკური განვითარება ცივი ომის დასრულების შემდეგ - ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში;
4. სლოვაკეთის დემოკრატიზაციის პროცესი და ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში;

თითოეულ ქვეთავში დეტალურადაა განხილული „V4“-ის ცალკეული წევრი ქვეყნის მიერ ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და განხორციელებული რეფორმები. გამოვლენილია მათი განხორციელების პროცესში არსებული სირთულეები და დაბრკოლებები. ამასთან, ყურადღებაა გამახვილებული თითოეული ქვეყნის

[55] Briefing No 31. Security and Defence and enlargement of the European Union. ევროპარლამენტის ვებგვერდი. https://tinyurl.com/5n733xzu;

მოსახლეობასა და პოლიტიკურ ელიტებში არსებულ განწყობებზე, რომლებ-მაც პოზიტიური, ან პირიქით - ნეგატიური გავლენა იქონიეს შესაბამისი ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე. და ბოლოს, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, თითოეული ქვეყნის-ათვის, ნაჩვენებია კონკრეტული ეკონომიკური სარგებელი, რაც „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებმა მიიღეს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შედეგად.

თავი III: პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის” (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციე-ბი და შესაძლო განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ევროპის ყოფილი სოციალისტუ-რი ქვეყნები, საკუთარი არსებობის მანძილზე, არასოდეს ყოფილან ეკონომი-კურად და პოლიტიკურად ისეთი წარმატებული, როგორიც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, რაც უპირველეს ყოვლისა, მათი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ამ ქვეყნებში მაინც შეინიშნება ანტიევროპული და ზოგადად ანტი-დასავლური განწყობების მატება. ამასთან, „V4“-ის ქვეყნებში თვალში-საცემი ხდება, როგორც პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების ტენდენცია, ისე ძირითად პარტიებში (mainstream parties) და, მათ შორის, სახელისუფლებო პარტიებშიც, ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების ზრდა.

„V4”-ის თითქმის ყველა ქვეყანაში ევროსკეპტიკური განწყობები მეტ-ნაკლები სიძლიერით არსებობდა ჯერ კიდევ ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებამდე. თუმცა ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია მოსა-ხლეობის უმრავლესობისა და მოქმედი პოლიტიკური ელიტების გადაწყვე-ტილებაზე, გამხდარიყვნენ ევროკავშირისა და ნატოს სრულფასოვანი წევ-რები. ცენტრალური ევროპის მოსახლეობის გარკვეულ ფენებში არსებული ევროკავშირის საწინააღმდეგო დამოკიდებულება აკუმულირდებოდა ამ

ქვეყნებში მოქმედ შედარებით მცირე ზომის პარტიებში და, ფაქტობრივად მათ ერთადერთ პოლიტიკურ კაპიტალს წარმოადგენდა.[56] ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ანტიევროპული განწყობები მჭიდროდ უკავშირდება ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი მოქალაქეების ნდობას ხარისხს[57]. ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვა, ამ ინსტიტუტების იმიჯის შელახვა, ავტომატურად იწვევს ევროკავშირის მოქალაქეებში ანტიევროპული განწყობების ზრდას.

ევროკავშირის იმიჯზე მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია ე. წ. საიმიგრაციო კრიზისმა, რომელიც 2010-იანი წლებიდან დაიწყო და პიკს 2015 წელს მიაღწია, როდესაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ერთი წლის განმავლობაში თავშესაფარი დაახლოებით 1,3 მილიონმა პირმა მოითხოვა, საიდანაც ძირითადი ნაწილი ისლამური ქვეყნებიდან, კერძოდ სირიიდან, ავღანეთიდან და ერაყიდან დევნილები იყვნენ.[58] მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის საერთო ინსტიტუტების გავლენა კავშირის ცალკეული ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საკითხებში ძალიან შეზღუდულია და ეს საკითხები ძირითადად ეროვნული მთავრობების კომპეტენციაში რჩება, ევროკავშირის მოქალაქეების დიდმა ნაწილმა აღნიშნულ კრიზისში სწორედ ევროკავშირი დაადანაშაულა. ზოგადად ევროკავშირის მიმართ ნდობა პირდაპირ კორელაციაშია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან: ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის დროს უფრო მეტი ადამიანი ენდობა ევროკავშირს, და პირიქით, კრიზისის დროს ეს ნდობა საგრძნობლად იკლებს.[59]

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ზრდა, ბუნებრივია, აისახა ამ ქვეყნებში

---

[56] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 182;
[57] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 183;
[58] CONNOR Phillip. *Number of Refugees to Europe Surges to Record 1.3 Million in 2015.* Pew Research Center 2016 - https://tinyurl.com/yc659pkx ;
[59] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 184;

არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში. უფრო მეტიც, სწორედ ეს განწყობები გახდა ზოგიერთი ამ პარტიისათვის ხელისუფლებაში მოსვლის ან დაბრუნების საფუძველი. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება პოლონეთისა და უნგრეთის მაგალითების მოყვანაც. 2015 წლის არჩევნებში ძმები **ლეხ და იაროსლავ კაჩინსკების** „სამართლისა და კანონიერების“ პარტიამ, რომელიც 2007 წლიდან ოპოზიციაში იმყოფებოდა და ლეხ კაჩინსკის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ საკმაოდ იყო დასუსტებული, კვლავ შეძლო არჩევნებში წარმატების მოპოვება და დღემდე რჩება პოლონეთის ხელისუფლებაში. ანალოგიური ვითარება შეიქმნა უნგრეთშიც, სადაც პარტია „ფიდესმა“[60] და მისმა ლიდერმა **ვიქტორ ორბანმა** 2010 წელს სწორედ ანტიევროპული განწყობების მატების ფონზე კვლავ შეძლო ხელისუფლებაში დაბრუნება.[61]

ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვამ ევროკავშირის წევრ თითქმის ყველა სახელმწიფოში გამოიწვია ე. წ. ტრადიციული პარტიების დასუსტება და ბიძგი მისცა პოპულისტური პარტიების გაძლიერების ტენდენციას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროპარლამენტის 2019 წლის არჩევნების შედეგებიც, სადაც პირველად ევროპარლამენტის არსებობის ისტორიაში, „ევროპის სახალხო პარტიამ“ (EPP) და „სოციალისტებისა და დემოკრატების ალიანსმა“ (S&D) ვერ შეძლეს ერთობლივად საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება. ამ მარცხის მიზეზი უნდა ვეძებოთ ტრადიციული პოლიტიკური ელიტების მიმართ ევროკავშირის მოსახლეობის უნდობლობის ზრდაში, რაც ბოლო ათწლეულის მანძილზე სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებულმა ტრადიციულმა დაპირისპირებამ „ზომიერ მემარცხენე“ და „ზომიერ მემარჯვენე“ მსოფლმხედველობებს შორის, ევროპელ ამომრჩეველში აქტუალურობა

---

[60] Fidesz - political party, Hungary. ენციკლოპედია ბრიტანიკა. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/topic/Fidesz;

[61] KREKÓ Péter, ENYEDI Zsolt. *Explaining Eastern Europe: Orbán's Laboratory of Illiberalism*. In: Journal of democrac. Volume29. Issue 3. July 2018. გვ. 39-51. https://tinyurl.com/yeyneznx;

დაკარგა. მათთვის რთულად გასაგები და ხშირ შემთხვევაში მიუღებელი გახდა ტრადიციული პარტიების მიერ არსებული პრობლემების გადაჭრის გზები. ამომრჩეველმა უფრო ძირეული ცვლილებები მოითხოვა, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ახალი, უფრო რადიკალური შეხედულებების მქონე ძალების წინა პლანზე გამოსვლას[62].

სამწუხაროდ, ამ ძალების უმეტესობა, არსებული რთული პრობლემების მოსაგვარებლად, გააზრებული პოლიტიკური ნაბიჯების ნაცვლად, მოსახლეობას სთავაზობს „მარტივ“ პოპულისტურ გზას, რაც, საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. ასეთმა გაუაზრებელმა და პოპულისტურმა ნაბიჯებმა შესაძლოა სრულიად შეცვალოს ქვეყნის ბედი და მისი განვითარების პერსპექტივა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს „ბრექსიტი“, რომლის მძიმე შედეგებსაც კიდევ დიდხანს მოიმკის როგორც გაერთიანებული სამეფოს, ისე თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობა.[63]

„ბრექსიტის“ ანალოგიით, ცენტრალური ევროპის ნებისმიერი ქვეყნისთვის ევროკავშირიდან გასვლას სავალალო შედეგი ექნება. ის გამოიწვევს ძლიერ ეკონომიკურ ვარდნას, რაც უაღრესად ნეგატიურ გავლენას მოახდენს ამ ქვეყნებში არსებულ ისედაც მყიფე სოციო-პოლიტიკურ ვითარებაზე.

სამწუხაროდ, „V4“ ქვეყნების მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სათანადოდ ვერ აცნობიერებს, რომ ევროკავშირის წევრობას აქვს უმთავრესად უხილავი ეკონომიკური სარგებელი, რაც 500 მილიონიანი სამომხმარებლო ბაზრის ხელმისაწვდომობაში გამოიხატება.[64] ამასთან „V4“-ის წევრი ყველა ქვეყანა არის ევროკავშირის ბიუჯეტის ბენეფიციარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები იღებენ უფრო მეტ თანხას საერთო ევროპული ფონდებიდან,

---

[62] VAN PROOIJEN Jan-Willem, KROUWEL1 André P. M. *Political Extremism.* Vrije Universiteit Amsterdam 2020. გვ.5;

[63] The Guardian. *The Guardian view of Brexit: a tragic national error*. Editorial. 31 Dec.2020 https://tinyurl.com/yckwh9vp. ასევე რევაზ გაჩეჩილაძე. გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა. თბილისი, თსუ გამ-ბა, 2016, გვ. 453-461

[64] PILATI Marta, ZULEEG Fabian. *The benefits of EU membership are not measured by net operating balances.* Policy Department for Budgetary Affairs, Directorate-General for Internal Policies. თებერვალი 2020;

ვიდრე თავად იხდიან.[65]

რაც შეეხება ევროკავშირიდან გასვლის პოლიტიკურ შედეგებს, ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის ის შეიძლება კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდეს, რადგან ამ ქვეყნების ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები, ევროკავშირის მხრიდან სათანადო მონიტორინგის გარეშე, ვერ მოახერხებენ დემოკრატიულობის არსებული მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.[66]

ამასთან, გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური ასპექტიც. „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებისთვის ნაკლები ევროპა ავტომატურად ნიშნავს მეტ რუსეთს, რადგან რუსეთი ხელიდან არ გაუშვებს შანსს და გამოიყენებს ყველა საშუალებას პოლიტიკური ვაკუუმის შესავსებად.[67]

თუკი XX საკუნის ბოლოს ცენტრალური ევროპა ფართოდ განიხილებოდა როგორც დემოკრატიული გარდაქმნების წარმატებული მაგალითი, XXI საუკუნის პირველი დეკადის დასასრულს, მკვლევართა სულ უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებული ოპტიმისტური შეფასება გადახედვას მოითხოვს, და რომ რეგიონი სერიოზული დემოკრატიული სირთულეების წინაშე დგას.[68]

ასევე არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ „V4“-ის ქვეყნებში დემოკრატიულობის ხარისხის კლება არ უნდა აღვიქვათ მხოლოდ კომუნისტური ავტორიტარიზმის მემკვიდრეობად ან გარდამავალი პერიოდის პოლიტიკის გვერდით მოვლენად. მისი ფესვები უფრო ღრმაა და სავარაუდო მიზეზები უნდა ვეძებოთ არაეფექტურ სამოქალაქო საზოგადოებაში, პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოთიშულ და უნდობლობით შეპყრობილ

---

[65] BUCHHOLZ Katharina. Which Countries are EU Contributors and Beneficiaries? In: Statista. Jan 13, 2020. https://www.statista.com/chart/18794/net-contributors-to-eu-budget/;
[66] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 189;
[67] MARUSIAK, Juraj. *Russia and the Visegrad Group – more than a foreign policy issue.* International Issues & Slovak Foreign Policy Affairs. 2015 გვ. 28-46;
[68] LORENZ Astrid, ANDERS Lisa H. add. *Illiberal Trends and Anti-EU Politics in East Central Europe*.in: Palgrave Studies in European Union Politics. Switzerland2021. გვ.10;

მოქალაქეებში, პარტიებში, რომლებსაც არ გააჩნიათ საზოგადოებაში სოციალური საყრდენი (ფესვები) და არაეფექტურ საჯარო მმართველობაში.[69]

დღეისათვის, მეტ-ნაკლები სიძლიერით, ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყანაში შეინიშნება არალიბერალური ტენდენციების ზრდა. არალიბერალიზმი (Illiberalism), რომელსაც სხვანაირად „არალიბერალურ დემოკრატიასაც“ უწოდებენ (Illiberal Democracy), შეიძლება განისაზღვროს, როგორც ძალაუფლების მქონე პირებისგან იმ მექანიზმებისა და ინსტიტუტების ხელყოფა, რომლებიც იცავენ მოქალაქეთა ინდივიდუალურ უფლებებს და თავისუფლებებს.[70] ტერმინი „არალიბერალური დემოკრატია“ პირველად გამოიყენა ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა და პოლიტიკურმა მიმომხილველმა **ფარიდ ზაქარიამ**[71] (Fareed Zakaria) 1997 წელს, ჟურნალ „Foreign Affairs“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „არალიბერალური დემოკრატიის აღზევება“[72] და გააფრთხილა დასავლეთი, რომ *„დემოკრატიულად არჩეული რეჟიმები,* [...] *ხშირ შემთხვევაში, უგულვებელყოფენ ძალაუფლებაზე დაწესებულ საკონსტიტუციო ლიმიტებს და საკუთარ მოქალაქეებს უზღუდავენ მათ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას. პერუდან პალესტინის ხელისუფლებამდე, სიერა ლეონედან სლოვაკეთამდე, პაკისტანიდან ფილიპინებამდე სახეზეა საერთაშორისო ცხოვრებისთვის შემაშფოთებელი მოვლენა - არალიბერალური დემოკრატია*“.[73]

ფარიდ ზაქარია მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური ლიბერალიზმი ხელს უწყობს დემოკრატიის ჩამოყალიბებას, მაგრამ თავის მხრივ, დემოკრატია არ

---

[69] CIANETTI Licia, DAWSON James & HANLEY Seán. *Rethinking "democratic backsliding" in Central and Eastern Europe – looking beyond Hungary and Poland*. In: Central and Eastern Europe – looking beyond Hungary and Poland, East European Politics. VOL. 34, NO. 3.2018. გვ. 244;
[70] LORENZ Astrid, ANDERS Lisa H. add. op. cit. გვ. 3;
[71] ფარიდ ზაქარია - ბიოგრაფია. https://fareedzakaria.com/about;
[72] ZAKARIA Fareed. *The rise of illiberal democracy.* In: Foreign Affairs; Nov/Dec 1997. გვ.22-43;
[73] იქვე. გვ. 22; [Democratically elected regimes, ... are routinely ignoring constitutional limits on their power and depriving their citizens of basic rights and freedom. From Peru to the Palestinian Authority, from Sierra Leone to Slovakia, from Pakistan to the Philippines, we see the rise of a disturbing phenomenon in international life — illiberal democracy.] არაოფიციალური თარგმანი.

უზრუნველყოფს კონსტიტუციური ლიბერალიზმის დამკვიდრებას.[74] ამიტომ, დასავლეთმა და ზოგადად საერთაშორისო ინსტიტუციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ არა მხოლოდ დემოკრატიზაციის პროცესს, არამედ ქვეყნებში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებასაც, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს დემოკრატიის განვითარებას.[75]

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ტერმინი „არალიბერალური დემოკრატია" პირველად გამოიყენა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა 2014 წლის 26 ივლისს ბალვანიოშის საზაფხულო თავისუფალი უნივერსიტეტის (Bálványos Summer Free University) სტუდენტურ ბანაკში გამოსვლისას, უნგრელებით დასახლებულ რუმინულ ქალაქ ბაილე ტუშნადში (Băile Tuşnad, ან ტუშნადფიურდიოში (Tusnádfürdő), როგორც მას უნგრელები უწოდებენ)[76]. ორბანმა უნგრეთში „არალიბერალური სახელმწიფოს" მშენებლობის იდეა წამოაყენა. „უნდა განვაცხადო, რომ დემოკრატია სულაც არ ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს ლიბერალური. სახელმწიფო შეიძლება არ იყოს ლიბერალური, მაგრამ ის მაინც შეიძლება იყოს დემოკრატიული". ამასთან, ვიქტორ ორბანმა აღნიშნა, რომ უნგრეთი უნდა მიისწრაფოდეს არა ლიბერალური, არამედ ეფექტური, „მომუშავე სახელმწიფოს" (Working State) მშენებლობისაკენ. უფრო დეტალურად ორბანის ხედვებსა და მისი მთავრობის მიერ გატარებულ ზომებზე შესაბამის ქვეთავში ვისაუბრებთ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მესამე თავში დეტალურად არის განხილული „V4"-ის თითოეულ წევრ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკური სურათი, გაანალიზებულია არსებულ ვითარება და გამოვლენილია გარკვეული კანონზომიერებები.

პირველი ორი თავის მსგავსად, მესამე თავიც იყოფა თემატურ ქვეთავებად:

1. პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების მიზეზები

[74] იქვე. გვ. 28;
[75] იქვე გვ. 42;
[76] ქალაქი ბაილე ტუშნადი. https://www.bailetusnad.ro/;

და ტენდენციები პოლონეთში

2. პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების პროცესები უნგრეთში
3. რადიკალური და პოპულისტური განწყობების ზრდა ჩეხეთში
4. პოპულიზმისა და რადიკალიზმის გამოვლინებები სლოვაკეთში არსებული ტენდენციები და შესაძლო შედეგები

თითოეულ ქვეთავში დეტალურად არის ნაჩვენები „ვიშეგრადის ოთხეულის“ ცალკეულ ქვეყნებში პოპულისტური და რადიკალური განწყობების მატების ტენდენციები, მათი გამომწვევი მიზეზები. ასევე სახელისუფლებო პარტიების მიერ ძალაუფლების კონსოლიდირების მიზნით, ქვეყანაში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების დაკნინებისაკენ გადადგმული ნაბიჯები, განსაკუთრებით, უნგრეთსა და პოლონეთში.

ყოველივე ეს კი იძლევა საშუალებას შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ „ვიშეგრადის ოთხეულის” ქვეყნებში პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების მიზეზების და შესაძლო შედეგების შესახებ.

დასკვნა

კომუნისტური რეჟიმის დაცემიდან თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტი ძირეულად შეიცვალა. დღეისათვის, ყოფილი სოციალისტურ ბლოკში შემავალი თერთმეტი ქვეყანა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა და მტკიცედ არის მიბმული დასავლურ ღირებულებით სფეროს. უფრო მეტიც, დემოკრატიული ცვლილებების ტალღები აღმოსავლეთ პარტნიორობის და ბალკანეთის ქვეყნებში, აჩენს მოლოდინს, რომ იმ ქვეყნებსაც კი, რომლებმაც საწყის ეტაპზე ვერ მიაღწიეს სწრაფ დემოკრატიულ გარდაქმნებს, შესაძლებელია გაუჩნდეთ მეორე შანსი.

ამავდროულად, როგორც კვლევის ჰიპოთეზაში იყო აღნიშნული, ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც დემოკრატია თითქოს

კონსოლიდირებულია, საქმე გვაქვს ე. წ. „დემოკრატიული უკუსვლ-ის“ პროცესთან, რომელიც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ამ რეგიონში 1990-იანი წლებიდან დამკვიდრებული ლიბერალიზაციის პარადიგმისთვის. დემოკრატიის უკუსვლის პროცესი ინდივიდუალურია და თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეთნო-კულტურული და ისტორიული სპეციფიკა გააჩნია, თუმცა არსებობს გარკვეული საერთო ტენდენციები და კანონზომიერებებიც. კერძოდ, ეს არის ახლად შექმნილი დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე, პოლიტიკური ცხოვრების მიმართ საზოგადოების ინტერესის ერთგვარი შესუსტება, პლურალისტული პოლიტიკური კულ-ტურის დეფიციტი და ჯერაც ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სამოქალაქო საზოგადოება.

თუკი 1990-იან წლებში სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური ძალაუფლების თვალსაზრისით, დასავლური ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოში უკონკურენტო იყო, 21-ე საუკუნის დასაწყისიდან შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის გლობალურმა გავლენამ გარკვეული ეროზია განიცადა და მას ჩინეთისა და რუსეთის სახით ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდნენ, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერის სანაცვლოდ არ ითხოვენ დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას ანდა ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებათა დაცვას.

როგორც ბოლო დროს ჩატარებული კვლევები[77] ცხადყოფს, „დემოკ-რატიული უკუსვლა“ მხოლოდ „ახალგაზრდა დემოკრატიების“ პრობლემა არ არის. ევროპაში ფაქტობრივად დასრულდა კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ არსებული დემოკრატიული სულისკვეთება და საქმე გვაქვს პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების ზრდის ტენდენ-ციასთან. მაგალითისთვის საკმარისი იქნება დავასახელოთ იტალიაში „ხუთი

[77] NORRIS Pippa. Is Western Democracy Backsliding? Diagnosing the Risks. Harward J.F. Kennedy School research papers. March 2017;

ვარსკვლავის მოძრაობის "(Movimento 5 Stelle - M5S)[78], ნიდერლანდების სამეფოში „თავისუფლების პარტიის" (Partij voor de Vrijheid – PVV)[79] ან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ალტერნატივა გერმანიისთვ-ის" (Alternative für Deutschland - AfD)[80] წარმატებაც.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი **სტივენ ლევიცკი** საკუთარ წიგნში, „როგორ კვდებიან დემოკრატიები", წერდა, რომ 21-ე საუკუნეში ფაშიზმის, კომუნიზმის ან უხეში სამხედრო მმართველობის ტიპის დიქტა-ტურა მსოფლიოში თითქმის გაქრა. სამხედრო გადატრიალებები და ძალა-უფლების ძალადობრივად ხელში ჩაგდების სხვა ფაქტები იშვიათია. ქვეყნე-ბის უმეტესობაში იმართება რეგულარული არჩევნები, „თუმცა დემოკრატია მაინც კვდება" და ეს პროცესი ხორციელდება არა გენერლებისა და ჯარისკა-ცების, არამედ ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობების მიერ[81].

მეტ-ნაკლები სიმძაფრით მიმდინარე სწორედ ს. ლევიცკის მიერ ზემოაღწერილ პროცესს ვადევნებთ თვალს „V4" ქვეყნებშიც, სადაც, მთავრობების მიერ, ერთი შეხედვით, არსებული კანონმდებლობის დაცვით, გატარებული „რეფორმები" ძირს უთხრის ამ ქვეყნებში არსებულ ჯერ ისევ მყიფე დემოკრატიულ ინსტიტუტებს. „დემოკრატიული უკუსვლის" პრო-ცესი განსაკუთრებით თვალშისაცემია უნგრეთსა და პოლონეთში და შედარებით ნაკლებად ჩეხეთსა და სლოვაკეთში, თუმცა ოთხივე ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ევროკავშირში გაწევრიანებამდე არსებული ლიბერალური დემოკრატიის გამყარებისაკენ მიმართული სულისკვეთება მკვეთრად შესუსტებულია.

„V4"-ის ქვეყნებში დღეისათვის თვალს ვადევნებთ ნაციონალისტური რიტორიკით უხვად გაჯერებული, კონსერვატიული და არალიბერალური

[78] https://www.movimento5stelle.eu/ (ბოლო ნახვა 03.01.2022);
[79] https://www.pvv.nl/ (ბოლო ნახვა 03.01.2022);
[80] https://www.afd.de/ (ბოლო ნახვა 03.01.2022);
[81] LEVITSKY Steven & ZIBLATT Daniel. Op.cit. გვ.3

იდეოლოგიების აღმასვლას. ამასთან, იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი იდეოლოგიის მიმდევარმა პოლიტიკურმა ძალებმა შეძლეს და მოიპოვეს ერთპარტიული უმრავლესობა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (პირველ რიგში, ეს ეხება უნგრეთს, შემდგომ -- პოლონეთსაც), საქმე გვაქვს ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტების ტენდენციასთან. ამრიგად, არსებული მონაცემების და მასალების ანალიზის შედეგად კვლევის ჰიპოთეზა დასტურდება.

დემოკრატიის უკუსვლასა და პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების ტენდენციაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ინტერნეტისა და სოციალური მედიის განვითარებამ რომელმაც, ფაქტობრივად, სრულად მოიცვა საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება, გარდა დადებითი ასპექტებისა, უამრავი ახალი საფრთხე და პრობლემა წარმოაჩინა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა არაზუსტი, მცდარი და ზოგჯერ აშკარად ყალბი ინფორმაციის სიჭარბე. დეზინფორმაცია, რომელსაც აქტიურად მიმართავენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ოპონენტების „გასაშავებლად“, თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა და პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელ უბრალო მოქალაქეს, უმეტეს შემთხვევაში, უჭირს სიმართლისა და ტყუილის გარჩევა. ამასთან, სოციალურმა მედიამ საშუალება მისცა ყველა სახის რადიკალურ და პოპულისტურ პარტიებს საკუთარი იდეოლოგია ადვილად მიიტანოს პოტენციურ ამომრჩევლამდე, რაც ამ ტიპის პარტიების გაძლიერების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, არსებული პრობლემის მოსაგვარებლად ლიბერალურმა დემოკრატიებმა ჯერ ვერ შეიმუშავეს რაიმე სახის ქმედითი მექანიზმი. ზეწოლა ან მკაცრი საჯარიმო სანქციები, როგორც ეს ევროკავშირის მხრიდან უნგრეთისა და პოლონეთის წინააღმდეგ არის გამოყენებული, ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა და შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ამ ქვეყნების

მოსახლეობაში არსებულ ანტიევროპული და ანტი-ლიბერალური განწყობები, რაც თავის მხრივ სწორედ არსებული პოლიტიკური ელიტის წისქვილზე ასხამს წყალს.

ჩემი აზრით, პრობლემის გადასაჭრელად სწორი გზა გადის საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მიმართულ ქმედებებზე. ამ კუთხით კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რომელიც, თავის მხრივ. ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოება, მისი თანამედროვე გაგებით, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მოიცავს, ის გაცილებით ფართო ცნებაა. „სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს სოციალური ქმედების ყველა ფორმას, რომელსაც ახორციელებენ ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და მართული სახელმწიფოს მიერ“[82]. ძალაუფლების წყურვილი ადამიანური სისუსტეა, ამიტომაც მდიდარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოებში, სწორედ სამოქალაქო სექტორის მხრიდან ხორციელდება ხელისუფლების აქტიური კონტროლი, რათა ამ უკანასკნელმა არ გადაუხვიოს დემოკრატიულ კურსს. სამოქალაქო სექტორის გაძლიერების პარალელურად, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მედიის განვითარებაც, რომელიც ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას ხელისუფლების საქმიანობის შესახებ.

თუკი მოვახდენთ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში არსებული ვითარების ექსტრაპოლირებას ევროკავშირის პოტენციური ახალი წევრების, და მათ შორის საქართველოს, შესაძლო პრობლემატიკაზე, ნათლად დავინახავთ, რომ დემოკრატიული უკუსვლისა და პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების პრობლემებმა, რაც „V4“ ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ დაუდგათ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე

[82] სამოქალაქო საზოგადოება - განმარტება. ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდი. https://tinyurl.com/53hf4cny. (ბოლო ნახვა 05.01.2022). [Civil society refers to all forms of social action carried out by individuals or groups who are neither connected to, nor managed by, the State] არაოფიციალური თარგმანი;

იჩინა თავი. ამასთან, ცენტრალური ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებებით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს არ გააჩნიათ ევროკავშირში გაწევრიანების ახლო პერსპექტივა, ევროპაში შეცვლილია ზოგადი გეოპოლიტიკური სურათიც და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნაკლები ენთუზიაზმით უყურებენ ევროპული კავშირის გაფართოების საკითხს. ყოველივე ეს კიდევ უფრო ართულებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ქვეყნებში დემოკრატიული გარდაქმნების ისედაც მტკივნეულ პროცესს.

მიუხედავად სირთულეებისა, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია უალტერნატივოა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, უსაფრთხოებისა და სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის კუთხით, რასაც ცალსახად ცხადყოფს „V4“ ქვეყნების მიერ განვლილი გზა.

შესაბამისად, ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის მაგალითების უარყოფითი თუ დადებითი ფაქტორების გათვალისწინება, ისევე როგორც ამ ქვეყნებში მიმდინარე პოსტინტეგრაციული პროცესების ანალიზი საქართველოსთვის, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანი უნდა იყოს. იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე ნაშრომი, თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარების ზოგიერთი პოტენციური ფაქტორის გათვალისწინების საქმეში.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი):

კოლოკვიუმი №1 - თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო (პოპულიზმი, რადიკალიზმი, გლობალიზაცია, რეგიონალიზმი, ინტეგრაციის თეორია);

კოლოკვიუმი №2 - „ვიშეგრადის ოთხეულის“ (V4) შექმნის ისტორიული წანამძღვრები;

კოლოკვიუმი №3 -„V4“-ის ქვეყნების ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში;

ამასთან, სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნდა შემდეგი სტატიები:

1. **European Integration in a Political-Geographical Context: a Comparison of the Baltic States and the South Caucasus.** GACHECHILADZE Revaz and ROBAKIDZE George. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 13, #4, 2019;
2. **გზა ევროკავშირისკენ: „ვიშეგრადის ოთხეულის“, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროპული ინტეგრაცია, მსგავსებები და განსხვავებები -** გ. რობაქიძე. ჟურნალი „პოლიტოLOGOS“ – 2022;
3. **ვიშეგრადის ოთხეული - გზა ავსტრო-უნგრეთის იმპერიიდან ევროკავშირამდე.** გ. რობაქიძე - საქართველოს მეცნირებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი მაცნე. 2022 წლის მე-2 ნომერი;

და მომზადდა თეზისები შემდეგი სამეცნიერო კონფერენციებისთვის:

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურული განყოფილება; საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისადმი მიძღვნილი V საერთაშორისო კონფერენცია; თეზისი - **იემენი: სამოქალაქო ომი შორს მიმავალი შედეგებით;** 04. 2020;
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“. თეზისი - **ევროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა ცენტრალური ევროპის, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება** (რ. გაჩეჩილაძე, გ. რობაქიძე). 20-22 ივნისი 2019;